შიდა ქართლში სამუშაო ადგილების შექმნა მცირე საწარმოების განვითარების გზით

2011 წელს იანვარში ქეა-მ დაიწყო 8 თვიანი პროექტი "შიდა ქართლში სამუშაო ადგილების შექმნა მცირე საწარმოების განვითარების გზით".

პროექტის ძირითადი ამოცანაა მცირე საწარმოთა განვითარებით სამუშაო ადგილების შექმნა შიდა ქართლში, ხოლო მის საერთო მიზანს წარმოადგენს 80 ახალი სამუშაო ადგილის შექმნა სულ მცირე 20 ახლად წამოწყებული ან/და არსებული ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ფარგლებში. პროექტში გათვალისწინებულია მდგრადი განვითარება, რაც უზრუნველყოფს შექმნილი სამუშაო ადგილების შენარჩუნებას და გაზრდილი შემოსავლების, მოგების რეინვესტირებისა, გაფართოებისა და გაუმჯობესებული კრედიტუნარიანობის შედეგად სამიზნე საწარმოების შემდგომ განვითარებას. Qქეა ასევე დაეხმარება ბენეფიციარებს მათი ბიზნესების შემდგომი განვითარებისთვისა და გაფართოების მიზნით საკრედიტო ინსტიტუტებთან კონტაქტების დამყარებაში.

პროექტის მთავარ სამიზნეს წარმოადგენს შიდა ქართლი, სადაც 80 ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნება სულ მცირე 20 არსებულ და დამწყებ მცირე საწარმოთა მხარდაჭერით, რომლებიც ამჟამად წარმატებით ფუნქციონირებს და შედეგად აუმჯობესებს ადგილობრივი ბიზნესის გარემოს, ზრდის შემოსავალსა და დასაქმების დონეს შიდა ქართლში.

სამიზნე ჯგუფი მოიცავს შიდა ქართლის მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც კონფლიქტის შედეგად არიან უშუალოდ დაზარალებულები: იძულებით გადაადგილებული პირები, მოსახლეობა, რომელიც დროებითი გადაადგილების შემდეგ საცხოვრებელ ადგილს დაუბრუნდა და სხვა სოციალურად დაუცველი პირები.

პროექტის უშუალო ბენეფიციარები არიან 80 ახალი დასაქმებული (იძულებით გადაადგილებული პირები, დაბრუნებულები და ადგილობრივი მოსახლეობა) და 20 მეწარმე, რომელიც მაქსიმუმ 10,000.0 ლარის ოდენობის გრანტს მიიღებს მცირე ბიზნესის განვითარებისთვის. არაპირდაპირი ბენეფიციარები იქნებიან 80 დასაქმებულის ოჯახის წევრები, დაახლოებით 160 ადამიანი (თითქმის 3-4 პიროვნება ერთ ოჯახზე) და ზოგადად კი - შიდა ქართლის რეგიონში მცხოვრები 300,000 ადამიანი.

პროექტის სამიზნეს წარმოადგენს მცირე საწარმოები შიდა ქართლის რეგიონის 4 მუნიციპალიტეტში, კონკრეტულად გორი, კასპი, ხაშური და ქარელი.

პროექტის საქმიანობის სამიზნეა არსებული და ახლად-შექმნილი საწარმოები (ახლად შექმნილი საწარმოების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 50%-ს), რომლებიც სთავაზობენ

როგორც ფერმერულ ისე არაფერმერულ პროდუქციას, მომსახურებას, სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესანახ და გადამამუშავებელ საწარმოებს.

პროექტი დაფინანსებულია გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHჩღ)-ის მიერ. პროექტის მთლიანი ბიუჯეტი 362 688, 40 ლარია.